შაბათი,
24
აპრილი,
№ 12, 1993 წ.

ჯიხა

საქართველოს
რესპუბლიკის
თავდაცვის
სამინისტროს 23-ე
მექანიზებული
ბრიგადის გაზეთი

გაზეთი გამოდის 1992 წლის დეკემბრიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრონტზე უმიშარი ვაქსაცია

საბრძოლო მდგომარეობა საქართველო

—სოხუმის დასაცავად ჩემს იქ ჩასვლამდეც იყო ზომები მიღებული, მაგრამ ჩემი უპირველესი მიზანი გახლდათ, რომ პირადად დავრწმუნებულიყავი ამაში,- განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს რადიოს კომენტატორთან თავის ტრადიციულ საორშაბათო ინტერვიუში ა. წ. 8 მარტს,-ოთხი დღის განმავლობაში მე საშუალება მქონდა დეტალურად გავრკვეულიყავი სიტუაციაში ყველა მიმართულებით და სადაც საჭირო იყო ზომების მიღება, მიმეღო კიდეც. შეხვედრები მქონდა ყველასთან, ვინც კი სოხუმის დაცვასთან არის დაკავშირებული და მინდა დავარწმუნო სოხუმელები, რომ ქალაქი საიმედოდ არის დაცული!..

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ედუარდ შევარდნაძის ამ განცხადებამ კიდევ უფრო აამაღლა მეორე საარმიო კორპუსის. სოხუმის დამცველ 23-ე მექანიზებული ბრიგადის მეთაურთა და პირადი შემადგენლობის პასუხისმგებლობა, საბრძოლო მზადყოფნა, რომ შეუვალი ყოფილიყო მშობლიური დედაქალაქი. ეს განცხადება მკაცრი ვაფრთხილება იყო ე. წ. გუდაუთელი მთავრობისა და მისი დაქირავებული, გადამთიელი მკვლელებისათვის; მაგრამ...

ა. წ. 15 მარტს აფხაზ სეპარატისტებმა მესამედ სცადეს ქალაქ სოხუმის ჩელში ჩაგდება. ამ შეტევითი ოპერაციისათვის მაწინააღმდეგე დიდხანს ემზადებოდა რუსეთის რეაქციულ გენერალთა მიერ შემუშავებული გეგმით. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის პავლე გრაჩოვის თვითნებური ვიზიტი გუდაუთაში, ბათუმში, ალბათ, ამ იერიშისათვის მზადყოფნას ეკუნებოდა და მხოლოდ მისი განკარგულება იყო საჭირო.

წინასწარ დაგეგმილი ოპერაციით გუმისთის პოზიციები დაიბომბა რუსეთის „აფხაზური“ თვითმფრინავებით, აგრუხუნდა მძიმე ტექნიკა, გუმისთაზე უკუნეთ ღამეში, ჩუმად გადმოვიდნენ გაწვრთნილი მეომრები, რომ მარწუხში მოექციათ სოხუმის დამცველები და გახსნეს ცეცხლი.

სოხუმის დამცველი 23-ე მექანიზებული ბრიგადის დეკგმირი მებრძოლები მოწოდებას სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. მომხდურთ ისეთი საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს, რომ ისინი ბრინჯაოთ დაიბნენ, არამცთუ ბრძოლისუნარიანობა, გონიც დაკარგეს. ჯოჯოხეთში ჩავარდნენ-თავად გაუხსნათ ცეცხლი წინა ხაზიდან, ზურგიდან და ალყაშემორტყმული აღმოჩნდნენ. შეტევაზე გადმოსული მტრის მეომრებს უნდოდათ ბრძოლით უკან დაეხიათ და საკუთარ ბუნაგში შემძვრალიყვნენ, მაგრამ დასახევი გზა მოკვეთილი ჰქონდათ და 16 მარტს გამთენიიდან დაიწყეს თავშესაფარის ძებნა; სოროებში ძვრებოდნენ, ციტრუსოვანთა პლანტაციებში დამალულნი თვალებს ნაბავდნენ, დაცარიელებულ სახლებში, წარმოება-დაწესებულებების საამქროებში მიმალულნი ცეცხლს გვიშენდნენ.

ტომარაში მოქცეულები, ვ. არძინბასა და მისი ხროვის შიშით, ტყვედ არ ნებდებოდნენ, რადგანაც „აფხაზური დემოკრატიის“ კანონით ტყვე — ერის მოღალატე და გამცემია. მასზე არაკეთილი მსჯელობა. მხოლოდ მოქმედებს „აფხაზური კანონი“ — შუბლში ტყვია!

ცივილიზებული მსოფლიოს „წარმომადგენელ“ „ვეღდაუთის ხელისუფალთ“ და მის აფხაზურ არმიას, რომლის შემადგენლობაში უფრო მეტია რუსი და მთიელთა რესპუბლიკებიდან დაქირაგებული მეომრები, მხოლოდ იარაღის ძალით უნდა ელაპარაკო.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური, შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ედუარდ შევარდნაძე 16 მარტს აფხაზეთში ჩამოვიდა. 17 მარტს საინფორმაციო პროგრამა „აღიონმა“ სოხუმიდან პირდაპირი ეთერით გადასცა ბატონ ედუარდის ინტერვიუ. მასში, კერძოდ, საუბარია სოხუმში ბოლო დღეებში მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებზე, ჩვენი საჯარისო შენაერთების საბრძოლო მოქმედებაზე, რომელთა თავდადებისა და გმირობის შედეგად შეტევაზე გადმოსული მტერი უკუგდებულია.

—როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, — თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — მადლობას ვუცხადებ სოხუმის ყველა დამცველს. ისინი, ვინც თავი გამოიჩინეს, წარდგენილი იქნება მთავრობის ჯილდოზე. მაგრამ რთული ბრძოლა წინაა...

ქართველთა ტრადიციისამებრ საძმართლიან ომში დაღუპული ვაჟკაცები, რომლებმაც სასუფეველში დაიმკვიდრეს ბინა, მარად რჩებიან ცოცხალთა შორის. 15-13 მარტის ბრძოლებმა შავად შემოსეს დედები, მეუღლეები. დები და შვილები.

უჩვეულო სიმჟღერეენ, როგორც ყველგან, დაუსადგურებია სოხუმის რაიონის სოფელ კელასურში. აქაური ლომგული ვაჟკაცები ომის პირველი დღიდან დგანან და იცავენ სოხუმის მიმადგომებს.

დედასამშობლოს დამცველ, დეკგმირ ვაჟკაცთა უკანასკნელ ადგილსაყოფად კელასურის საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივმა სოფლის კლუბში ა. წ. 17 აპრილს ჩაატარა წინასაღდგომო სამგლოვიარო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ომში დაღუპულ თანამოქალაქეთა ხსოვნას, უკვდავყოფას. მიტინგს ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად ესწრებოდნენ რაიონისა და 23-ე მექანიზებული ბრიგადის წარმომადგენლები.

საგლოვიარო მიტინგის მასალებს წაიკითხავთ ჩვენ გაზეთის მეორე-მესამე გვერდებზე.



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: (წინაპლანზე) გუმისთის ფრონტზე დაღუპული, ასეულის მეთაური, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი, უშიშარი კელასურელი მებრძოლის თენგული ძალა-მიას მამა ოთარი ძაძამია და გენერალი გენო ადამია.

ბ. სოკოლოვის ფოტო.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ № 86

17 აპრილი, ქ. ოჩამჩირე.

„მხედრიონის“ ნაწილების ოჩამჩირის გარნიზონიდან დროებითი დათხოვნის შესახებ ვბრძანებ:

1. „მხედრიონის“ ნაწილები ორი კვირის ვადით დათხოვილ იქნან შვებულებაში.

2. „მხედრიონის“ ნაწილების მებრძოლებს გამოეცხადოთ მადლობა და მათ შორის ღირსეული წარდგენილ იქნენ სახელმწიფო ჯილდოებზე.

3. ამ ბრძანების შესრულება დაეკისროს 24-ე მექანიზებული ბრიგადის მეთაურს პოლკოვნიკ გია ვაშაკიძეს.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი
თენგიზ კიტოვანი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ № 87

17 აპრილი, ქ. ოჩამჩირე.

24-ე მექანიზებული ბრიგადის სამხედრო საბჭოს შექმნის შესახებ.

საბრძოლო მოქმედებათა დროს სამხედრო ქვეგანაყოფების კოორდინირების, საბრძოლო და მატერიალური მომარაგების, პატრიოტულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ვბრძანებ:

1. 24-ე მექანიზებულ ბრიგადაში შეიქმნას სამხედრო საბჭო.

2. სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნოს II საარმიო კორპუსის მეთაურის მოადგილე, გენერალი ზაურ უჩაძე, წევრებად — პოლკოვნიკი გია ვაშაკიძე, პოლკოვნიკი ელგუჯა ფოფანაძე, პოდპოლკოვნიკი ნაური ჯიქია და ოჩამჩირის გარნიზონის სამხედრო კომენდანტი, პოდპოლკოვნიკი მალხაზ ყიფიანი.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი
თენგიზ კიტოვანი.

„მხედრიონელებს“ დროებით იოხოვენ

როგორც ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ბატონ თენგიზ კიტოვანის ბრძანების შესრულება „მხედრიონის“ ნაწილების ოჩამჩირის გარნიზონიდან დროებითი დათხოვნის შესახებ, დაეკისრა 24-ე მექანიზებული ბრიგადის მეთაურს პოლკოვნიკ გია ვაშაკიძეს.

ჩვენს კითხვაზე, ხომ არ დაასუსტებს „მხედრიონის“ ნაწილების დროებითი დათხოვნა ოჩამჩირის რაიონში საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოზიციებს, პოლკოვნიკმა გია ვაშაკიძემ გვიპასუხა: ამ ბოლო დროს ჩვენ მივიღეთ დასვენებული, ახალი ნაწილები, ამდენად „მხედრიონის“ ნაწილების დროებითი დათხოვნით, ჩვენი სამხედრო პოტენციალი უმნიშვნელოდ შეიცვლება, ამასთან, უახლოეს მომავალში ველით დამატებით ძალას მეზობელი რეგიონიდან. „მხედრიონის“ ნაწილებს კი მართლაც ესაჭიროებათ დასვენება, რადგან უკვე რვა თვეზე მეტია ისინი თითქმის შეუცვლელად იმყოფებიან წინა ხაზზე. „მხედრიონს“ ნაწილების გამოსვლა ოჩამჩირის რაიონ-დან ორგანიზებულად მიმდინარეობს, მდგომარეობის გართულებას ადგილი არ აქვს. მებრძოლებს გამოეცხადათ მადლობა და მათ შორის ღირსეული წარდგენილი იქნებიან სახელმწიფო ჯილდოებზე.

ᲯᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘᲘᲗ

ა. წ. 17 აპრილს სოხუმში ჩამოვიდა საქართველოს საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის (განყოფილების თავმჯდომარე ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი დანიელი) ინიციატივით დელეგაცია. საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის თავმჯდომარის მოადგილის დეკანოზი პავლეს მოთავეობით, რომელსაც თან ახლდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პირად შემადგენლობასთან აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს კულტურისა და დასვენების ორგანიზაციის განყოფილების უფროსი მაიორი ტარიელ სარანაშვილი. მათ აფხაზეთის ფრონტის მებრძოლებისათვის ჩამოიტანეს მილიონი მანეთის ღირებულების ააღდგომო საჩუქრები, შემოწირული თბილისის წარმოება-დაწესებულებების: მოსახლეობის მიერ და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ააღდგომო ეპისტოლე.

აღდგომის დღეს ეპისკოპოსმა დანიელმა და დეკანოზმა პავლემ წმინდა ნინოს გზის მსახურების, — მონაზვნებისა და ბერების თანხლებით ბატალიონების შტაბებში, ფრონტის ხაზებზე მეომრებისათვის აღავლინეს ლოცვები, მიულოცეს მათ ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული, შეასრულეს საგალობლები და გადასცეს მეომრებს საჩუქრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენს ნურვინ შეგვეცილება,

წინააღდგომის საგლოვიარო მიტინგი მიძღვნილი ძამულის დასაცავად დაღუპულ ვაჟკაცთა უკვდავსაყოფად

ასეთი შეკრება, შეხვედრა, მიტინგი კელასურში, ისე როგორც მთელი საეთოველოში, ჯერ არ ჰატარეიალა. სახლის გვერდით ლაფაროზე შეიკრიბებული მტერი დგას, ხაკუთარ სახლკარს, წინაპართა სისხლით გაპოხიერებულ მიწას გვედავება. მთიელ აფხუაოთა, აფხაზ სეპარატისტთა მიერ გოხეტაოთ-ბზიბ-მოუაძლელ უადთ აფხაზეთი უაფაზებოდ, უქართველებოდ აქციონ და ჩვენი ბაძული ჰრდილოეთ კავკასიელ მუსლიმანეს, რუსეთის რეაქციულ ძალებს ფეძქაძად გადასცენ.

ასეთი მოძალადეეაის, მტრების მოქმედების შეხაფასებლად სიტყვეს ვერ მოეეინის კაცი. მსგავსი თემურ-ლენგს და მისი ჯარის დაპყროლებსაც არ ჩაუდეხიათ.

ქართველთა მოძულე ასეთ უგუნურთა, უაზროთა მოქმედებას შეეწირნენ საქართველოს სხვა შვილებთან ერთად კელასურელი ვაუკაცები.

კლუბის ხცენაზე ყვავილებში ჩაფლულ, ხალიჩაგადაკრულ სტენდზე დაღუპულ ვაუკაცთა გადიდებული სურათია, რომლის ზემოთ წარწერაა:

სამარადისო დიდება მამულისათვის დაღუპულ გმირებს.

აქვე დგანან თავჩაღუნული მოსწავლე-ახალგაზრდები, რომ ერის, სოფლის სახელით პატივი მიაგონ გარადისობაში გადასულ ხალხელოვან შვილებს.

მიუხედავად ხალხმრავლობისა სიმყუდროვე, სამარისებური ხიჩუმეა. შიშობენ არ შეაწუხონ დაღუპულთა სულები.

წინასაღდგომო სამგლოვიარო მიტინგი ძეაკალი სიტყვით გახსნა კელასურის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გაგეგმ შოთა კოპალიანმა. მან თქვა: ჩვენს სკოლაში მიიღეს საშუალო გაათლეა. პედაგოგ-აღმზრდელების, სოფლის თვალწინ ფეხი აიდგეს, დავაკაცდნეი იური ომ-ახალ, ტ-ოიელ (გია) ძამუგია, თეაგულ ძაკაძია, ბუთხენ ძატარაია, გეოჯი, ავთანდილ, შოთა, გენადი კოპალიანები. მათთან ერთად ძიეაა ძიკაბარეთ ჩვენი სოფლის სიძე. გუდაუთში სახლკარგადამწვარი და ლტოვილი ოჯახის შვილი შუმიან რუხვიაშვილი.

ეს ბიჭები სწავლასა და შრომაში აღიზარდნენ; არამარტო სოფელში. არამედ რაიონში და მის ფაოგლებს გარეთაც იცნობდნენ, როგორც ზრდილ, პატიოსან, გულთბილ, კეთილ, სიცოცხლით აღსავსე ვაჟკაცებს. არ გვეგონა, ვერ ვიფიქრებდით, რომ ისინი ასეთი გულის პატრონები იყვნენ. საქართველოს გასაჭირის ეამს იარაღი აიხეს და იქ დადგნენ, სადაც ყველა ქართველი ახალგაზრდა ეხდა იდგეს დღეს. მამულის ავბედობის ეამს მათ გვიჩვენეს დიდი გონიერება. პატრიოტიზმი. საშობლოსადმი უანგარო სიყვარული და გმირულად დაცვა ეიძოლის ველზე. დაგვიტოვეს დიდება და სახელი, დაღუპულთა სახელებს დავიწყება არ უწერია. მათს თავდადებას, რომ ძიაძოს ახალგაზრდა თაობამ, ჩვენი ვალია მუდამ გვერდით ვიგულოთ ისინი, მოვეფეროთ, ყვავილები არ მოვაკლოთ საშობლოსათვის თავგანწირულთა საფლავებს.

დაღუპულთა ოჯახის წევრებთან ერთად მოთქვამენ სოფლის დედები, ცრემლს მალავენ ძამაკაცები. ჩვენი ვალია გმირთა მოქმედების ძაგალითებზე აღვზარდოთ მომავალი თაობა. სკოლის მასწავლებლებმა სოფლის ხელმძღვანელობასთან ერთად სამომავლოდ უნდა გადაწყვიტოთ — წელიწადის ერთი დღე გამოვაცხადოთ და დავაწესოთ სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლაში დაღუპული შვილების მოგონების დღედ.

მიტინგის მონაწილენი წუთიერი დუმილით პატივს მიაგებენ სახელოვანი მეომრების ხსოვნას.

სიტყვა ინფორმაციული ხასიათის მოხსენებისათვის პედაგოგთა და მოსწავლეთა სახელით ეძლევა მასწავლებელ გიორგი მურღულიას.

გმირობა სოხუმის მისადგომებთან

გიორგი მურღულიას გამოსვლიდან

შვიდ თვეზე მეტია — ექსტრემისტ-სეპარატისტთა მიერ ქართველებისათვის პროვოკაციულად თავსმოხვეული ომი მიმდინარეობს აფხაზეთში. 16-18 მარტს ბრძოლის ველზე ენით აუწერელი. თავგანწირული ბრძოლის მაგალითები უჩვენეს ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულებმა, ამ შეტევის მონაწილე ყველა ქართველი ნამდვილი რაინდი და გმირია.

არის უამრავი მაგალითი იმისა, რომ ქართველი მეომრები ვეფხვივით ეკვეთებოდნენ მტერს, უშიშრად იკრეხდნენ აფხაზთა და მათ დაქირავებულთა დაჯგუფებებში, თვითონ იღუპებოდნენ მაგრამ ანადგურებდნენ მოძხურთ. აი, ზოგიერთი მათგანიც: ბატალიონის უფროსის მოადგილე, მაიორი იური ომარის ძე ომანაძე ერთ სახლში დამალულ ათეულობით მტერს შეუვარდა, ცეცხლი გახსნა და ვინ იცის რამდენს დაუბნელა თვალები. ბრძოლაში თვითონ ლომივით დაეცა, მაგრამ ძმადაფიც ბიჭებს შესაძლებლობა მისცა ერთიანად ამოეწყვიტათ მოსულნი.

ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულმა, ბატალიონის უფროსის მოადგილემ ტარიელ (ვია) გიორგის ძე შამუგიამ ბევრ აფხაზსა და გადამთიელს მოუსპო სიცოცხლე. ბრძოლის ბოლო მომენტში მტრის მეომრთა ჯგუფში მოხვდა, ტყვედ აყვანა შესთავაზეს, პასუხად ხელყუმბარით თავი აიფეთქა, გვერდით კი მის მიერ დახოცილი მტრის ოთხი გვამი ესვენა.

ჩვენი სკოლის კურსდამთავრებული გურჯი ნოდარის ძე კოპალიანი თავს ცუდად გრძნობდა და საავადმყოფოში იწვა. 16 მარტს გაუგია მტრის ჩვენს პოზიციებზე შემოსვლა, საავადმყოფოდან გაპარულა ღამით და პირდაპირ საბრძოლველად წასულა. მასთან ერთად წასულან სხვა ვაჟკაცი მებრძოლები. გზად მიმავლებს რამდენიმე მოწინააღმდეგე მოუსპიათ, მაგრამ თავიანთ ნაწილამდე ვერ მიეღწევიათ, ისე დაიღუპნენ უთანასწორო ბრძოლაში. ზემოთხსენებულ ბიჭებს გვერდი-გვერდ მოყვბოდნენ ჩვენი სკოლის სხვა კურსდამთავრებულებიც.

თითქმის ექვს თვეზე მეტხანს იცავდნენ ეს ბიჭები სოხუმის მისადგომების ყველაზე ცხელ წერტილებს. ყოველთვის ფიხა ხაზზე ტრიალებდნენ და თანამებრძოლების სული და გული იყვნენ.

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, მოსწავლე ახალგაზრდობა შეგვიზარა ამ უბედურებამ, ტრაგედიამ. სასწავლებელში არ ისმის აღსაზრდელთა სიცილ-კისკისი, ჟოიამული. მასწავლებლები, დაღუპულთა ჭირისუფლებთან, სოფლის მცხოვრებლებთან ერთად თვალცრემლიანნი დადიან. ყველა ერთს ფიქრობს — სანამდე გაგრძელდება ეს უაზრო ომი. სანამ უნდა ეწირებოდეს ერთი მუჭა სეპარატისტების, ყოველგვარ რეალურ საფუძველს მოკლებულ, ბოროტ განაზრახს ქართველი და აფხაზი ახალგაზრდები.

ამბიციებს აყოლილ გუდაუთელ „ლიდერებს" უნდათ ისტორიის ჩარხი უკან დატრიალონ. ქართულ ტრადიციებსა და ადათ-წესებზე აღზრდილი ჭეშმარიტი აფხაზები ჩრდილოეთ კავკასიელ მუსლიმან „ძმებს" დაუკავშირონ, ანდა რუსეთს მიეკედლონ.

ჩრდილოეთ კავკასიიდან ორი-სამი საუკუნის წინ ჩამოსულ მთიელებს არაფინ ერეკება ჩვენი მიწა-წყლიდან, არც არაფერში ვედაკებით. დღემდე ყველაფერში პრივილეგირებულნი იყვნენ მოსკოვის, კრემლის კომუნისტების წყალობით, საქართველოს ხელმძღვანელობის ნებსით თუ უხებლიე წყარუებით. მართალი, რომ ვთქვათ. აფხაზები, გააფხაზებული ქართველები, თურქები, ადიღელები, ჩერქეზები თუ სხვები, რომლებიც დიდიან-პატარიანად თბილისის „დინამოს" სტადიონზე დაეტევა, თავზე დავიჯინეთ, ახლაკი, ძოლად გასახლება მოგვინდომეს.

ქართული ანდაზა ამბობს: მეზობელს, ნათესავს თუ შეუსრულებ ყველაფერს, რასაც გთხოვს, მოისუოვებს მოსისხლე მტრად გაგიხდებაო. აკი გაგვიხდა კიდეც.

ამ ომში ქართველთა გამარჯვება სათუო არ არის. გამოვხატავ ჩვენი სოფლის ყოველი მკვიდრის აზრს — აფხაზ სეპარატისტთა და მათ მიტმასნილთა ადგილი აფხაზეთში არ არის, რადგანაც მათ მოგვახვიეს თავს ძმათამკვლელი ომი.

სანთელი დავუნოოთ დაღუპულებს.

სკოლის მოსწავლეთა გუნდი ასრულებს საგალობლებს.

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით,
წმინდა გიორგის ტროპარი.

ეჩერდით, კმარა, გეუოფათ!

ხრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის ხაზოგადოების, აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის, პოეტ ნათელა მამარდაშვილის გამოსვლიდან.

დღეს საშინელი ბრძოლაა გაჩაღებული სიკეთესა და ბოროტებას შორის. ეშმაკეულის დამარცხება მსხვერპლს ითხოვს კეთილისაგან. ილუპებიან ახალგაზრდები. ინგრევა ქალაქები, იქცევა სოფლები. განდიდების მანიით შეპყრობილი სატანა არ ძღება სისხლით, კარიერის შენარჩუნებით, მტრის დახმარებით შემდგომი აღზევების მიზნით საკუთარ ერს არ ინდობს.

საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. წმიდა ნინოს მიერ ჩამოტანილმა ჯვარმა საუკუნეების მანძილზე მოგვცა ძალა გაგვეძლო ტკივილი-სათვის. განდგურების პირას მისულებს სულიერი მხნეობა და ღვთის დიდი სიყვარული მოგვანიჭა. სწორედ ამიტომ ვართ ასეთი კეთილები და უანგარონი.

საქართველოს ჭირ-ვარამმა შთამაგონა ლექსი, რომელსაც ახლა წაგიკითხავთ.

მხოლოდ წამების და ჯვარცმის
შემდეგ გველის აღდგომა,
უფლის რჩეულ ერს გააწამებს
მტერი, სატანა,
მაგრამ მოგველის გამარჯვება,
ლელოს გატანა,
ამიტომ გვმართებს ყოველიეს
ძლევა, ატანა!

ოდითგანვე აფხაზები ძმად, მეგობრად, მეზობლად გვეგულებოდა, მათი მცირე ნაწილი შეაცდინა ეშმაკეულმა და მტრად გაგვიხდა. მათ აყვნენ ამბიციურად განწყობილნი და ტყვიას გვესვრიან, გვედავებიან მიწას ჩვენსას და მისას და თავზე გვენგრევა საერთო სახლი.

საუკუნე იწურება. მოდის მსაჯული უფლისა და ვაი იმათ, ვისაც მოხვდება მისი მსახვრალი ხელი. ნეტარ არიან მორწმუნენი და მართალნი, რომლებიც დაიმკვიდრებენ მარადიულ ცხოვრებას და ვაი იმათ, ვისაც მოელის ბნელი უფსკრული და „წამებაი ჯოჯოხეთისაი".

მწამს და მჯერა, ჭეშმარიტი აფხაზი არ გინუდგება ქრისტეს რჯულს, რამეთუ საუკუნეების მანძილზე სხვა ფისეულობებთან ერთად საერთო ხატი და რჯული გვაერთიანებდა საერთო მტრის წინააღმდეგ. დღეს კი სატანა გახარებული დგას და უფსკრულისაკენ მიუძღვება ძმებს. დღეს ხელახლა მოკლა კაენმა აბელი და აღზევდა სისხლი ცოდვით დაღვრილი — ძმათა მკვლელობამ შესძრა მრავალტანჯული საქართველო.

მივმართავთ აფხაზ სეპარატისტებს — შეჩერდით, კმარა, გეყოფათ სისხლი, რაც დაღვარა ძმათა ხოცვაში!

— ქრისტე აღსდგა!
პასუხობს დარბაზი —
ჭეშმარიტად აღსდგა!

მოსწავლეთა გუნდი ასრულებს
გალობას
აღდგომასა შენსა ქრისტე
მაცხოვარ.

მოსწავლე ხათუნა ლეთოდიანი მღერის — „დედამ, დედისავ!

მოსწავლეები გიტა ლიპარტელიანი, ირაკლი კოპალიანი, ნათია ბენდელიანი კითხულობენ ცნობილი პოეტების ლექსებს.

შეწყდეს, იარალის ჟღარუნი

კელასურის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელ მზეჭალა კოპალიანის გამოსვლიდან

ის საშინელებანი, რაც აფხაზეთში, ჩვენს მიწა-წყალზე ტრიალებს, გაუგონარია. არ გვინდობს მტერი და, სამწუხაროდ, მოყვარეც. დღემდე ვერ შეუგნიათ მოწინააღმდეგეებს, რომ რუსები და ჩრდილოეთ კავკასიელი გადამთიელები აფხაზების სიყვარულით არ კვდებიან. მათ უნდათ საქართველოს მოსტაცონ მსოფლიო მნიშვნელობის კურორტების მბარე შავი ზღვის სანაპიროებითურთ. სანამ ერთი ქართველი ქართველობს, ჩვენს მიწაზე მომხდურები ამას ვერ მიაღწევენ. ისინი თუ გონს არ მოვიდნენ, აქ მხოლოდ დაიმარხებიან.

მიუხედავად საქართველოს მთავრობის ყოველგვარი ცდისა, კონფლიქტი ვერ გვარდება, იღვრება სისხლი, მამულის სიყვარულს ეწირებიან რჩეული ახალგაზრდები. ქართველები მშობლიურ მიწას იცავენ, სადაც აფხაზებთან ერთად ათასწლობით ცხოვრობენ. ჩვენგან აფხაზებს არაკინ დევნის და გასაკვირი, გაუგებარია, რისთვის აყღარუნებენ იარაღს, ვის ებრძვიან და რატომ ებრძვიან. აფხაზთა მბრივ ასეთი უაზრო მოქმედება რას უნდა მიეწეროს. ნეთუ არძინბა ამ და მისმა თანამზრახველებმა ისე დაუბნელეს გონება საკუთარ ხალხს, რომ კარგსა და ცუდს, თეთრსა და შავს ვერ არჩევენ.

ტირიან ქართველი და აფხაზი დედები. ხელიდან ეცლებათ შვილები. ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი ამ საშინელებისათვის. კელასურელებმა ათზე მეტი ნამდვილი ვაჟკაცი დაკარგეს, საქართველომ კი — ასეულობით. ღმერთი არ შეებრალებს ამდენი საშინელების ჩამდენთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება

უკვდავყოთ გმირები

23-ე მექანიზებული ბრიგადის მეთაურის მოადგილის, ალზრდელობითი მუშაობის განყოფილების გამგის

დავით ცირაგაშვილს გამოსალმიდან

დღევანდელი ჩვენი წინასაღდგომო შეხვედრა ბევრისმეტყველია. ღმერთმა ადამიანი თავის ხატად, მსგავსად ქმნა. რომ ვიძახოთ ღმერთი არს ჩვენთან, არაფერს ნიშნავს; მთავარია, ჩვენ ვიყოთ ღმერთთან და ისე მოვიქცეთ, როგორც უფალი გვასწავლის. უნდა დავინდოთ ერთმანეთი, ვაპატიოთ ერთმანეთს, გვიყვარდეს ევასა და ადამის მოდგმა, მუდამ სიკეთე ვიწყინამძღვროთ.

ჩვენი წინასაღდგომო შეხვედრაც წუთისოფლის შვილია, ამ ქვეყნად ვალმოხდილთა და მარადისობაში გადასულთა სულიერი ერთიანობაა.

მიუხედავად ომისა, ჩვენი ბრიგადის ხელმძღვანელობა ბევრ რამეს აკეთებს სამართლიანი საქმისათვის ბრძოლაში დაღუპულთა უკვდავსაყოფად. შტაბის შესასვლელ ფოიეში გაკეთებულია ომში დაღუპულ მეომართა ფოტოსტენდი. გადაეწყვიტეთ დახმარება აღმოვუჩინოთ ქალაქის მერიას, რაიონების გამგეებლებს ფოტოსტენდების მოწყობაში. ყოველდღიურად ემუშაობთ ბრიგადის საბრძოლო გზის ამსახველ წიგნზე. რომელშიც მოცემული იქნება ყოველი ქვეგანაყოფის, მეომრის ბრძოლის ეპიზოდები. ჩვენი მიზანია, რომ ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომის შესახებ ყველაფერი იცოდეს საზოგადოებრიობამ, მომავალმა თაობამ. ამ საშვილიშვილო საქმეში დიდი დახმარება უნდა აღმოგვიჩინოს ყველამ.

პირველი დახმარების ხელი გამოგვიწოდა კელასურის საშუალო სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა. ჩვენი ვალია ცოცხლები მუდამ ახლოს იყვნენ ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებთან.

შემდეგ დავით ცირაშვილმა წაიკითხა წერილის ტექსტი ბრიგადის მეთაურის გენერალ-მაიორ გენო ადამიას ხელმოწერით, რომელიც ეგზავნება ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებს.

*

გვაღფლაბებს სიყვარული

23-ე მექანიზებული ბრიგადის მეთაურის გენერალ-მაიორ

გენო ადამიას გამოსალმიდან.

პირველ რიგში მინდა დიდი მადლობა და ხიყვარული გუთხრა მამულის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ დედგმირთა აღმზრდელ მასწავლებლებს.

გესიყვარულებით თქვენ, ძვირფასო პედაგოგებო და სოფლის მშრომელებო ისეთი ლომგული გაეკაცების აღზრდისათვის, როგორებიც იყვნენ იური ომანაძე, გია შამუგია, თენგული ძაძამია, ფურჯი კოპალიანი... წუთით შეჩერდა გენერალი, ცრემლი ჩამოუგორდა. ეს ახალგაზრდები მთელი საქართველოს საყვარელი შვილები არიან, ისინი დაუვიწყარნი იქნებიან მანამ, სანამ ქართველი ერი — საქართველო იარსებებს. ჩვენ ყველა დაღუპულს დიდი გულისტკივილით, სიყვარულით ვიგონებთ. ნათელში ამყოფოს მათი სული მამაზეციერმა.

რთული და მძიმეა ჩვენი დღევანდელი დღე. ომია აფხაზეთში, იდვრება სისხლი, გვიჭირს ეკონომიურად, სულიერად. ამ დროს ზოგიერთები ავლენენ უარყოფით თვისებებს. ჩვენი ბრიგადის დაღუპული მებრძოლების გვამები საფლავში გაცივებულიც არ არის, იქნებ სიხხლიც სდით ნაჭრილობევიდან და პედაგოგებმა ხევდით, ნაღველით გულდამძიმებულებმა გადაწყვიტეთ ჩვენი ფესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის წინა დღეს მოსწავლეებთან, თანასოფლელებთან ერთად პატივი მიგეგოთ დაღუპულთათვის.

ასეთი გულით სიყვარული, ერთგულება სამშობლოსათვის თავგანწირულთა მომართ, ქართველებს შეუძლიათ. თუ ასეთი ცოცხლებზე მიდიოდა. ძნელია და შორს წაგვიყვანდა ყველაფრის თქმა. ამას ისტორია იტყვის. სათანადო ცოდნის, გამოცდილებას მქონე ვაჟკაცები, როგორებიც იყვნენ იური, გია, თენგული სხვები და სხვები გვედგნენ გვერდით, და ახლა. შეიძლება ითქვას, გვყავს თითქოს რეგულაციული არმიის დონემდე აყვანილი ჯარი.

დიდი შრომა, ბრძოლა, ცოდნა შეალია იური ომანაძემ პირველი ბატალიონის შექმნა-ჩამოყალიბებას და ახლა ეს ქვეგანაყოფი ერთ-ერთი მოწინავეა ბრიგადაში. იურას დაღუპვის მეორე დღესვე შტაბში მოვიდნენ და გვთხოვეს მეომრებმა — პირველი ბატალიონისათვის მიგვეგზავნეთ მისი შემქმნელის, სულისა და გულის იური ომანაძის სახელი, და დაგვპირდნენ, რომ იურას სახელით სიცოცხლის ბოლო წუთამდე იბრძოლებდნენ მამულისათვის. მებრძოლთა თხოვნა დაკმაყოფილებულია — იური ომანაძის სახელობის ბატალიონი საბრძოლო პოზიციებზეა. ეს ბატალიონი იარსებებს მანამ, სანამ საქართველოს ჯარი დასჭირდება. ჩვენი დეკემბერი მეომრის იურის სახელი უკვდავყოფილია.

ქართველ ხალხს ოდითგანვე მოსდევს ვაჟკაცობა, გმირული შემართება, სამშობლოს დიდი სიყვარული და მისთვის თავგანწირვა. ეს დღესაც დასტურდება. ჩვენთან მოდიან დაღუპულთა მამები. ძმები, ახლო ნათესავები და ითხოვენ ჩაყრიცხოთ ისინი ამ ნაწილში, სადაც მათი შვილები, ძმები იბრძოდნენ. მიეცეთ ის იარაღი, რითაც დაღუპულები მტერს მესროდნენ. გვთხოვენ იურის, გურჯის. თენგულის, გიას, შოთას. ავთანდილის, მურმანის და სხვების იარაღს. ბევრის სურვილი დაკმაყოფილდა. ყველასი არა, რადგანაც გმირი მებრძოლების იარაღი, ნაჭრისა ნიეთები, სამოსი გვინდა გადავცეთ სამხედრო მუზეუმს და დავტოვოთ მომავალ თაობას.

წინაპრები გვასწავლიან — მოგვიხსენიეთ ჩვენ, როგორც ცოცხლები, ისე როგორც დღეს ბრძოლა თქვენ, გაივლის დრო და ისე იქნებით თქვენც, ვითარცა ჩვენ.

არ დავიძალავთ. ჩვენი ბრიგადის ჩამოყალიბების პირველ დღეებში ბევრი ლაპარაკი იყო პროფესიონალიზმზე. ჩვენი ჯარი და მისი მეთაურები ისე გაწვრთნილი არ არიან, როგორც ინტერნეტში გაწვრთნილი რუსის ჯარი და მისი მეთაურები გრაჩოვები, გრომოვები, კონდრატიევები, ლებედევები, სოროკინები, რუცკოები, სხვები და სხვები. ღმერთმა გვაშოროს ასეთი გაწვრთნა და პროფესიონალიზმი.

ჩვენი ბრიგადა ჩამოყალიბდა და ვაჟკაცდება ომის პერიოდში. ქვეყნის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და ქართველთა დაცვისათვის. ერის უმწიკვლო სიყვარულმა ყველაფერი შეგვაძლებინა როგორებსაც და მეთაურებსაც, და როგორებიც ვართ, მრავალგზის ბრძოლამ დაადასტურა, ამას ხალხი ხედავს და ჩვენც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიქნებით საქართველოს დარაჯად.

უდავო ჭეშმარიტებაა — პიროვნება თუ ერი თვითონ ქმნის თავის ხვედრს. ბრძენთა უბრძნესი ქმნილება ბიბლია დადადებს — მაპრამ იცოდა იესომ, რასაც ფიქრობდნენ ისინი (ეშმაკეულნი, ფარისეველნი), და უთხრა მათ: ყოველი სამეფო თავისი თავის წინააღმდეგ გაყოფილი, გაპარტახდება; და ყოველი ქალაქი, გინდა სახლი თავისი თავის წინააღმდეგ გაყოფილი, დაიქცევა.

ქრისტეს განდგომილმა აფხაზმა სეპარატისტმა „მოძღვრებმა" მოინდომეს თავისი თავის წინააღმდეგ — საქართველოსაგან გამოყოფა და ახლა უფალის წინასწარმეტყველება — ხელიდან გვეცლება ჩვენდა საიმედოდ, მოხალულად აღზრდილი ჩვენი შვილები, ვანგრევთ, ვაპარტახებთ მამა-პაპათგან ასეულ წლობით და ჩვენს პირ ნაშენებ, ნაგებ, ხალოლიანებ ქალაქებს, სოფლებს, სახლებს.

კიდევ ქართველთა მოთმინება, მიმტევებლობა, თორემ უარესი დაემართებოდა საქართველოს ამ უმშვენიერეს კუთხეს.

ასეთი გასაჭირის ჟამს — აფხაზეთში ომია და წყდება საქართველოს ბედი, გავიცდით ეკონომიურ სიდუხჭიროეს; ჯარისკაცებს არა აქვთ საჭმელი, ტანსაცმელი, არ მუშაობს ფაბრიკა-ქარხანები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, შიმშილობს ხალხი. არ გაქვს ფული... უანგარიშოდ შექმნილი პარტიები, მათი ლიდერები ახლა არკვევენ თავიანთ ჰოხიციებს, ყველას პირველობა უნდა, თავისი აზრი, კონცეფცია ეუმშარიტებად მიაჩნიათ. ყველა პოლიტიკოსი გახდა, მცირე ხაწილი მიტინგებისაკენ იქაჩება, თითქოს ეს უშველიდეს დაღუპვის ქარამდე მისულ საქართველოს.

გამოვხატავ მეომართა სულიერკეთებას — ყველა პარტიამ, საზოგადოებამ, მოძრაობამ აკეთოს ის, რაც საქართველოს ინტერესებს ემსახურება. ამოგვიდგნენ გვერდით გარეშე და შინაური მტრის წინააღმდეგ, დავამყაროთ მშვიდობა, შევქმნათ ნორმალური შრომისა და ცხოვრების პირობები, მერე იდავოს და იკამათონ იმაზე, რაც ერის წინ წაგვადგება.

ჩვენთვის ერთი ქართველის, აფხაზის ტრაგიკულად დაღუპვა უბედურებაა. საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპულთა რიცხვი დიდია, კთხოვოთ და ვილოცოთ უფლის წინაშე, რომ ღვთისა და ერის წინაშე დამსახურებისათვის დაღუპული ჩვენი ბიჭები სასუფეველის ღირსნი გახდნენ და ქართველთა ზეციურ მხედრიონს შეუერთდნენ.

ქრისტე აღსდგა!

— დარბაზი, „ჭეშმარიტად აღსდგა!"

სკოლის მოსწავლეთა გუნდი ასრულებს საგალობელს ქრისტე აღსდგა და მღერის შაველგოს.

*

გენერლის ცრემლი

ხოხუმის რაიონის განათლების განყოფილების გამგის

ვიხეილ ლეთოდიანის გამოსალმიდან

სეფეთა გულისა და ქრისტეს რწმენის ადამიანები მხოლოდ კეთილსა და სიყვარულს ემსახურებიან. მათში ომი შური, მტრობა, სხვის გასაჭირსა და ტკივილს ითავისებენ. მათს გარშემო მხოლოდ კარგის სურვილით შეპყრობილი, კარგის მთესველი ადამიანები იკრიბებიან. ასეთ ადამიანად ჩვენ გვესახება დღეს გენერალ-მაიორი, ბატონი გენო ადამია, რომელსაც სიტყვის დასაწყისში, როცა მის ძმადნაფიც მებრძოლებზე, კელასურელ ვაჟკაცებზე ლაპარაკობდა, სიტყვა გაუწყდა, თვალებიდან ცრემლი ჩამოუგორდა; შეყოყნდა; ყველაფერი ეს ადამიანური და დაუვიწყარია ჩემთვის როგორც სახალხო განათლების მუშაკისათვის.

ბატონო გენო, თქვენ მიუსამძიმრეთ დაღუპულთა ოჯახებს თქვენი გაზეთით „ჯარა". პირადად მოგვისამძიმრეთ დღეს — აღდგომის წინა დღეს. ჩვენც გისამძიმრებთ თქვენ პირადად და თქვენი ბრიგადის პირად შემადგენლობას რჩეული ახალგაზრდების დაღუპვის გამო. მადლობა ღმერთს, რომ საქართველოს ასეთი შვილები ყოლია, გასაჭირის ჟამს რომ, ყველა ერთ მუშტად შეიკრა.

პირობას გაძლევთ თქვენ და 23-ე ბრიგადის პირად შემადგენლობას, რომ ხოხუმის რაიონის ახალგაზრდები, ყველა ჩვენი ჯარისკაცების გვერდით ვიქნებით, რათა დავიცვათ საქართველოს მთლიანობა. რაიონის ინტელიგენსას პატივცემული ბატონ ბაბრამ იცოდა ივსომ, რასაც ფიქრობდნენ ისინი (ეშმაკეულნი, ფარისეველნი), და უთხრა მათ: ყოველი სამეფო თავისი თავის წინააღმდეგ გაყოფილი, გაპარტახდება; და ყოველი ქალაქი, გინდა სახლი თავისი თავის წინააღმდეგ გაყოფილი, დაიქცევა.

ქრისტეს განდგომილმა აფხაზმა სეპარატისტმა „მოძღვრებმა" მოინდომეს თავისი თავის წინააღმდეგ — საქართველოსაგან გამოყოფა და ახლა უფალის წინასწარმეტყველება — ხელიდან გვეცლება ჩვენდა საიმედოდ, მოხალულად აღზრდილი ჩვენი შვილები, ვანგრევთ, ვაპარტახებთ მამა-პაპათგან ასეულ წლობით და ჩვენს პირ ნაშენებ, ნაგებ, ხალოლიანებ ქალაქებს, სოფლებს, სახლებს.

კიდევ ქართველთა მოთმინება, მიმტევებლობა, თორემ უარესი დაემართებოდა საქართველოს ამ უმშვენიერეს კუთხეს.

ასეთი გასაჭირის ჟამს — აფხაზეთში ომია და წყდება საქართველოს ბედი, გავიცდით ეკონომიურ სიდუხჭიროეს; ჯარისკაცებს არა აქვთ საჭმელი, ტანსაცმელი, არ მუშაობს ფაბრიკა-ქარხანები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, შიმშილობს ხალხი. არ გაქვს ფული... უანგარიშოდ შექმნილი პარტიები, მათი ლიდერები ახლა არკვევენ თავიანთ ჰოხიციებს, ყველას პირველობა უნდა, თავისი აზრი, კონცეფცია ეუმშარიტებად მიაჩნიათ. ყველა პოლიტიკოსი გახდა, მცირე ხაწილი მიტინგებისაკენ იქაჩება, თითქოს ეს უშველიდეს დაღუპვის ქარამდე მისულ საქართველოს.

გამოვხატავ მეომართა სულიერკეთებას — ყველა პარტიამ, საზოგადოებამ, მოძრაობამ აკეთოს ის, რაც საქართველოს ინტერესებს ემსახურება. ამოგვიდგნენ გვერდით გარეშე და შინაური მტრის წინააღმდეგ, დავამყაროთ მშვიდობა, შევქმნათ ნორმალური შრომისა და ცხოვრების პირობები, მერე იდავოს და იკამათონ იმაზე, რაც ერის წინ წაგვადგება.

ჩვენთვის ერთი ქართველის, აფხაზის ტრაგიკულად დაღუპვა უბედურებაა. საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპულთა რიცხვი დიდია, კთხოვოთ და ვილოცოთ უფლის წინაშე, რომ ღვთისა და ერის წინაშე დამსახურებისათვის დაღუპული ჩვენი ბიჭები სასუფეველის ღირსნი გახდნენ და ქართველთა ზეციურ მხედრიონს შეუერთდნენ.

ქრისტე აღსდგა!

— დარბაზი, „ჭეშმარიტად აღსდგა!"

სკოლის მოსწავლეთა გუნდი ასრულებს საგალობელს ქრისტე აღსდგა და მღერის შაველგოს.

* * *

ეზოში გამოსული მასწავლებლები, სოფლის მცხოვრებნი გარსშემოერტყნენ გენერალს და მრავალი შეკითხვა დაუსვეს. ძირითადი და მთავარი იყო — როდის დამთავრდება ომი?

— პასუხად — მალე. იმედია ჩვენს მიწაზე მშვიდობა გამეფდება. ომიანობა თავისუფლად ამოისუნთქეს. გენო ადამიას ჯარმა, მან და მის ჯარს წარმატება უსურვეს.

უკან დაბრუნებისას გენერალმა გენო ადამიამ ბატონი ბაგო თეხვულ ძაძამას, ბიჭუნა ბატარაძის და გია შამუგიას საფლავებს. კიდევ ერთხელ მიუსამძიმრა იქ მყოფ მშობლებს.

მახალა მოაშვილი

ეროლიტე ხუციშვილი,

ალეკო ბოგვერაძე

[illegible] ᲛᲘᲒᲣᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲝ ᲨᲔᲜᲘ

ოური ომანაძის ხსოვნას

[illegible] შეენივთე ნისლად,
[illegible] აფრთხიალდა ცაში,
[illegible]ის ბრძოლა გქონდა
მიზნად,
მტერს [illegible]ლესავით გადაუდექ
გზაში.

[illegible] ძმებს მიუძღოდი
მედგრად
ლომისგული ლეჩხუმელი ბიჭი,
ათახერშეტ მტერს ჯაბნიდი
ბევრად,
აზრიანი, მამაცი და დინჯი.

ერთიანი საქართველოს ნახვით
გსურდა გეგრძნო სულიერი შვება.
ჰაი, შენ რომ შემართავდი
მახვილს,
ჰაი, შენი მომხდურებთან შებმა!
არ ველოდით ავბედით ომს, არა,
ქართველ-აფხაზთ ერთი მიწა
გვქონდა.
რა სასტიკმა დაგვიქროლა ქარმა,
ახლა რადაც საშინელი მოხდა...

გადაგვიდგა გულნამცეცა მტერი,
უზოგველი, თავნება და ურჩი,
ვერაგობის გვწვდა მსახვრალი
ხელი,
შეგვირყია მტკიცე სახლის
ბურჯი.

შენ კი, გმირო, მოგვიტანე
რწმენა,
გამარჯვების იმედი და ძალა,
და ბრძოლაში შენებრ აღმაფრენა
ქართველ ვაჟებს მოსდებია ალად.

ახლაც შენი შეძახილი მედგარ
ბიჭებს ესმით როგორც ზტკიცე
ფიცი.

ეგ სიკვდილი, შენ რომ გერგო
ხვედრად
სხივს დაკლებს ვარსკვლავების
ციმციმს.

სად ხარ, ბიჭო, სად გეძებოს
დედამ,
გულდამწვარმა გლოვითა და
ცრემლით?

შენ ყველგან ხარ, უმამაცეს
მხედარს
მუალს მოგიყრის დღეს
საშობლო შენი!

შენ ყველგან ხარ, მოუწოდებ
ბიჭებს,
რაზმებს რაზმი ემატება. გწამდეს:
გავიმარჯვებთ! მომხდურს
დავამიწებთ
და ჩვენი ხმა ამოაღწევს ცამდე!

ნათელა მამარდაშვილი

საქართველო მეძახის

აქ წინაპარს უკიოინებს განგება,
აქ მოისმენ აჩრდილების შეძახილს.
ქაენის მზე დასალიერს აცხრება.
ადექ, შვილო,
საქართველო გეძახის!

შენი მთები შენს მშობლიურს
გიმღერენ,
ერთ დაინდე, იმას შენი უნდება.
შენს გაკლავენ, დანას გულში
გიღერენ,

ავსა ავი უკან მიუბრუნდება.

შენს კალთაში ვინაც დამე ათია,
მის დაფლეთა მოსდგამს და არ
ეძრახვის.
ეს მამული მაცხოვარის კვართია,
ადექ, შვილო,
საქართველო გეძახის!

გორის გესელია

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების კრესცენტრის

ᲪᲜᲝᲑᲐ

21 აპრილს მდინარე გუმისთა-ზე დილიდან სიმშვიდე იყო შენარჩუნებული. 7 საათიდან მოწინააღმდეგემ დაიწყო მდინარე გუმისთაზე განლაგებული ქართული პოზიციების და ქალაქ სოხუმის საარტილერიო დაბომბვა. ექვსამდე ჭურვი აფეთქდა ქალაქის ახალ რაიონში, სამი კი ქალაქის ცენტრალური უბანში. წინასწარი მონაცემებით მძიმედ დაიჭრა ორი მშვიდობიანი მოქალაქე, ორივე რუსი ეროვნების.

ჩვენმა არტილერიამ გაუხსნა საპასუხო ცეცხლი და მოწინააღმდეგე აიძულა დაბომბვა შეეწყვიტა.

20 საათისათვის მოწინააღმდეგემ სოფელ ეშერის მიდამოებში დაწყო მძიმე ტექნიკის კონცენტრაცია და ცოცხალი ძალის თავმოყრა. მათ გახსნეს ცეცხლი, ისროდნენ ე. წ. „ვასილიოკიდან“ და მძიმე ტექნიკიდან. ცალკეული ნაწილები სატვირთო მანქანებით გადმოყავდათ. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გაუხსნეს საარტილერიო ცეცხლი და საგრძნობი ზარალი მიაყენეს მათ, კერძოდ, მწყობრიდან იქნა გამოყვანილი ერთი ტანკი და გაწაღგურებულია ორი სატვირთო მანქანა. ამ ზარალის მიღების შემდეგ მოწინააღმდეგემ აქტიურობა შეწყვიტა.

რაც შეეხება ოჩამჩირის რაიონს აქ ძირითადად სიმშვიდე იყო შენარჩუნებული და აქტიური საბრძოლო მოქმედებები არ მიმდინარეობდა.

* * *

22 აპრილს მდინარე გუმისთაზე დღის პირველ ნახევარში სიმშვიდე იყო შენარჩუნებული. 14 საათისათვის კი მოწინააღმდეგე მხარემ დაიწყო სოხუმის საარტილერიო დაბომბვა. ისროდნენ 152 მილიმეტრიანი ჰაუბიცებით, რომელიც აფხაზურ მხარეს შეიარაღებაში არა აქვს. ამასთან საცეცხლე წერტილები განლაგებული იყო ეშერის სიახლოვეს მდებარე იმ სიმაღლეზე, სადაც რუსი სამხედროების რადიოლოკაციური სადგურია მოთავსებული.

ქალაქის ცენტრს ესროლეს 10 ჭურვი. დაიღუპა ორი და დაიჭრა სამი მოქალაქე. მნიშვნელოვნად დაზიანდა რამდენიმე შენობა. საპასუხო საარტილერიო ცეცხლის გახსნის შემდეგ ქალაქის დაბომბვა შეწყდა.

18 საათისათვის მოწინააღმდეგე კვლავ გააქტიურდა და ნამლსატყორცნებიდან და მძიმე ტექნიკიდან ცეცხლი დაუშინა ჩვენს პოზიციებს.

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მოწინააღმდეგეს ცეცხლითვე უპასუხეს. პოზიციური ბრძოლა ერთ საათს გაგრძელდა, ჩვენი მხრიდან დაიჭრა სამი მებრძოლი.

ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲤᲠᲝᲜᲢᲡ

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობას ეკონომიურად უჭირს, საქართველოსათვის პროვოკაციულად თავსმოხვეული ომი ყველამ გაითავისა და ფრონტზე მებრძოლ ბიჭებს თავიანთ ლუკმას უყოფენ. დიდი რაოდენობით შემოდის, როგორც ქვეყნის თავდაცვით ფონდში, ასევე ცალკე 23-ე მექანიზებული ბრიგადის — ქალაქ სოხუმისა და მისი მიმდებარე რაიონების დამცველი მეომრებისათვის კვების პროდუქტები, მედიკამენტები, ფულადი სახსრები.

ხობის რაიონის მშრომელებმა ბრიგადის მებრძოლებისათვის 1,5 მილიონი მანეთის კვების პროდუქტები, მედიკამენტები ჩამოიტანეს. ხობელი ბიჭები ომობენ ოჩამჩირისა და გუმისთის ფრონტებზე. მათი მიზანია იბრძოლონ მანამდე, სამამ არ აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

ფულადი დახმარება გაგვიწიეს — თბილისის სამგორის რაიონის გამგებელმა 1,2 მილიონი მანეთი, ვლადნის რაიონის გამგებელმა — 100 ათასი, ომის დაწყებიდან სოხუმის თამბაქოს ფაბრიკამ — 4 მილიონი მანეთი, აეროპორტმა — 150 ათასი მანეთი.

ბრიგადის საფინანსო განყოფილებაში თვითეული დანაზოგები შემოიტანეს: თბილისის გიორგი ბაკურ გულუამ — 200 ათასი მანეთი; სოხუმელებმა ზურა ძაძამიამ — 3 მილიონი მანეთი, ზური მირელაშვილმა — 200 ათასი, გურამ ლოგუამ — 100 ათასი, ილო ლევიევმა — 200 ათასი, ლაზარე ბეჭვაიამ — 200 ათასი, ნუგზარ დარასელიამ — 1 მილიონი მანეთი, ფრონტზე დაღუპული ნუკრი ჭილაიას მამამ ვალერი ჭილაიამ 5 ათასი მანეთი.

ბრიგადის დახმარების ფონდში ყოველდღიურად შემოდის ფულადი სახსრები.

გულადი კალანდია,

23-ე ბრიგადის საფინანსო სამსახურის უფროსი.

ᲒᲔᲡᲘᲙ ᲒᲔᲠᲘᲐ

15-16 მარტს მტრის ზიერ ქალაქზე განხორციელებული დიდი მასირებული შტურმის დროს სოხუმელმა ბიჭებმა სიცოცხლის ფასად დაიცავით ᲠᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ქალაქი, ბიირიც გმირულად დაეცა და დაწყვიტა გული ახლობლებს. მაგრამ შენი სიკვდილი, ბესო, განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვეს სოხუმელებმა, შენმა ნაცნობ-მეგობრებმა. ქალაქში ბევრი გიცნობდა, როგორც [illegible]ოსან. მეტად კეთილშობილ, [illegible] და უსიტყვო ადამიანს, უერთგულეს მეგობარს. ჭირისა და ლხინის პირველ გამზიარებელს.

იმ აბდიით 16 მარტსაც შემოპარული და ჩასაფრებული მტრის გასაუნებლად მიუძღოდი მე-3 ბატალიონის სადაზვერვო ოცეულს და შენს თავზე მიიღე პირველი დარტყმა, რითაც საშუალება მეეცი თანამებრძოლებს წარმატებით ჩაეტარებინათ ოპერაცია.

გეიჭირს დაჯერება, რომ ჩვენთან აღარ ხარ.

სოხუმის პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლობდი ხარკოვის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტში; ორი წელი იხდიდი სამხედრო მოვალეობას; მუშაობდი სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის სამშენებლო სამმართველოში, შემდეგ საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციაში. როდესაც სამშობლოს გაუჭირდა, წუთითაც არ დაფიქრებულხარ გადაწყვეტილების მიღებაში.

სამწუხაროდ დაოჯახება ვერ მოასწარი. ძალიან გეეჭირს ჩვენო ბესო, სიტყვების ბოინა შენი დიდის. და-ძმის სანუგეშებლად.

შენ პირნათლად მოიხადე ბილი სამშობლოს წინაშე და გმირულად დაეცი საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში.

ზიარეთ საქართველოში დავანიშნოს, გვჯერა, ოოსაც თანა[illegible] ოა ჩვენთან ხარ.

თანამებრძოლები



ᲢᲐᲠᲘᲔᲚ (ᲒᲘᲐ) ᲨᲐᲛᲣᲒᲘᲐ

16 მარტს, გუმისთის სანაპიროზე მომხდურ ავაზაკებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გმირულად დაეცა მეორე ბატალიონის მეთაურის მოადგილე ტარიელ (გია) შამუგია. მეთაური და მებრძოლი გია თავისი ვაჟკაცური შემართებით, ბრძოლისუნარიანობით, მეგობრობით, გულის სითბოთი და სხვა ადამიანური თვისებებით მისაბაძი იყო თანამებრძოლებისათვის. მისი ყოველი მოთხოვნა, ბრძანება სამართლიანი, კანონიერი იყო და უსიტყვოდ სრულდებოდა.

ჩვენს რიგებს გამოაკლდა უშიშარი მეომარი, თავისი თავისადმი მკაცრი მომთხოვნი მხედარი. მტერთან ბრძოლაში დაჭრილ გიას აფხაზებმა ტყვედ დანებება შესთავაზეს; მან კი ძალა მოიკრიბა, ხელყუმბარა ააფეთქა, თვითონ დაიღუპა და ოთხი ბოევიკი გამოასალმა სიცოცხლეს.

ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული გია, ხელახლა რომ გაიცოცხლო, იგივეს გაიმეორებს, რაც ჩაიდინა.

სიტყვები ვერ გვიპოვნია გიას გამწარებული დედის, დაობლებული შვილების სანუგეშოდ. გწამდეს რომ, შენი მებრძოლი მეგობრები არასოდეს დაგივიწყებენ, მუდრო კავშირი გვექნება შენი ოჯახის წევრებთან, რომ სასახელოდ აღიზარდონ შენი პატარები მზია, ზაზა და გიორგი.

ვთხოვთ უფალს, მამულის ერთიანობისათვის გმირულად დაცემული გია შამუგიას სული ამყოფოს სასუფეველში.

თანამებრძოლები

ᲒᲘᲐ ᲒᲕᲐᲖᲐᲕᲐ

ფიქრზე უსწრაფესად მიქრიან დღეები... თითქოს გუშინ ჩვენთან იყავი, გია. ჩვენთან ერთად ოცნებობდი სიყვარულზე, ბედნიერებასა და ნათელ მომავალზე. მაგრამ ვაი, რომ განუხორციელებელი დარჩა შენი ფიქრი, შენი ოცნება. ვაჟკაცი იყავი ყოველთვის და შენმა ვაჟკაცურმა გენმა სამშობლოს სადარაჯოზე დაგაყენა.

ყველაზე სახიფათო გზა აირჩიე — მზვერავი იყავი! დაზვერვაზე წასულს რამდენი ხიფათი გინახავს, მაგრამ ყოველთვის უნებელი დაბრუნებულხარ. ამბობდი: „მე აფხაზებს გადავურჩი შრომაში და აწი არაფერი მომკლავსო“.

იმ ავბედით 16 მარტს საკუთარი მკერდით დაიცავი შენი საყვარელი მიწა-წყალი, შენი საყვარელი ხალხი და გმირულად დაეცი ბრძოლის ველზე.

გიფიქრებიაც კი გვიჭირს, რომ შენ ჩვენს შორის უკვე აღარ იქნები, რომ მომავალში ვერ გავიგონებთ შენს მოსწრებულ ხუმრობებს, შენს „მრავალუამიერს“, ვეღარ ვიხილავთ შენს ლამაზ სახეს, ცოცხალ, მეტყველ თვალებს, ჭადარივით აშოლტილ ტანს! როგორ დაგვწყვიტე, გია, გული. რამხელა ტკივილი, დარდი და სევდა დაგვიტოვე.

რით ვანუგეშოთ შენი გამწარებული დედა, შენი ეულად დარჩენილი ძმა, ნათესავები?

შენ წლად გერგო მარად 24 წლის დარჩენილიყავი. შენს ხსოვნას ვერაფერი ამომლის ჩვენი გულებიდან, ჩვენო ძვირფასო გია!

დაე, მიწა, რომელსაც შენი ლამაზი სიცოცხლე შესწირე, ბუმბულივით მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის.

თანამებრძოლები

რედაქტორი:
ᲘᲐᲠᲚᲘᲢᲔ ᲮᲣᲑᲣᲐ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: სოხუმი, ნ. ლაკობას ქ. № 21.
ტელეფონი: 2-40-89.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲘᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲖᲔᲗᲝ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ, ᲤᲠᲣᲜᲖᲔᲡ Ქ. № 9.